საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მანგლელი

იოანე მანგლელი (ერისკაცობაში – ი ო ს ე ბ ს ა ა კ ა ძ ე) (1668 – 28. III. 1751, ყიზლარი), სასულიერო მოღვაწე. ბავშვობიდან დავითგარეჯაში იზრდებოდა, იქვე აღიკვეცა ბერად. მოგვიანებით ქართლის მეფე ბაქარმა მანგლისის ეპისკოპოსად აკურთხებინა. ოსმალების შემოსევების შედეგად მანგლისის ეპარქიის განადგურების შემდეგ ი. მ. ხირსის მონასტერში გაიხიზნა. 1724 დარუბანდში წავიდა და თან თერთმეტი სას. პირი გაიყოლა. დაღესტანში თავდაპირველად ააგო ხის სამლოცველო, შემდეგ კი – ღვთისმშობლის მიძინების ქვის ეკლესია.

ი. მ-მა თავისი ცხოვრებით და სასწაულებრივი საქმიანობით ლეკების დიდი ყურადღება მიიპყრო და მრავალი მათგანი მართლმადიდებლობაზეც მოაქცია. მისი მოღვაწეობის ამბავი შეიტყო პეტრე დიდმაც, რ-მაც ვახტანგ VI-თან ერთად ი. მ-ს ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა.

1737 ი. მ. გადავიდა ასტრახანში, სადაც წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია ააგო. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ყიზლარში მცხოვრებ ქართველებს ეკლესია არ ჰქონდათ, ხოლო ოსეთში ქრისტიანობა ფეხზე მყარად არ იდგა. ამ მიზეზით მან დატოვა ასტრახანი, ყიზლარს მიაშურა და ჯვართამაღლების ეკლესია ააგო. იქვე სკოლაც გახსნა, სადაც მქადაგებლებსა და მისიონერებს ამზადებდნენ. ი. მ. თავდაუზოგავად იღვწოდა ოსებისა და ინგუშების მოსაქცევად. მან იოსებ სამებელთან ერთად პროექტი შეადგინა (1746 სინოდმა დაამტკიცა), რ-ის მიხედვითაც დაარსდა ოსეთის ქრისტიანობის აღმდგენი კომისია. იგი ძირითადად ქართვ. სამღვდელოებისგან შედგებოდა.

ი. მ. ყიზლარში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. გარკვეული დროის შემდეგ თეიმურაზ II-ის ბრძანებით იგი საქართველოში ჩამოასვენეს და თბილ. სიონის ტაძარში დაკრძალეს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 28. III (10.IV) დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, ა. მიქაბერიძის რედ., თბ.–ათენი, 2003; ჟურნ. «კარიბჭე», 2005, № 4 (15).

თ. მარგველაშვილი